

## სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის

დირექტორის მიერ შესრულებული სამუშაოს ამსახველი ანგარიში,

კოლეჯის გამოწვევები და კოლეჯის განვითარების ხედვა

2019-2020

წინამდებარე ანგარიში წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას და მოგახსენებთ ჩემს ხედვებს, კოლეჯის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე. ასევე მოგახსენებთ, კოლეჯის განვითარების მიმართულებით არსებულ გეგმებს მოკლევადიან პერსპექტივაში.

ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებულები არიან ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები, დამსახურებული მწვრთნელები. ჩვენი საამაყო სტუდენტი იყო მრავალგზის რეკოდსმენი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ტალახაძე. ამჟამად კოლეჯში სწავლობს საქართველოს ნაკრების 80-მდე პირველი ნომრი სხვადასხვა სპორტის სახეობებში.

პროფესიული სტუდენტების შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, პირადად ჩემი ინიციატივით მოძიებულ იქნა ოცამდე დამსაქმებელი ორგანიზაციები, დაწესებულებები და ფედერაციები, რომელთანაც გაფორმდა დასაქმების ხელშეწყობის/მემორანდუმები. ჩვენი კურსდამთავრებულების 80% მათივე ინიციატივით, არის დასაქმებული.

გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადების, ტრენინგების გატარების ნაწილში - მოდულური სწავლების მიმართულებით. კოლეჯში მომზადდა 13 სერთიფიცირებული პროფესიული პედაგოგი.

კოლეჯში არსებული მწვრთნელის პროგრამა საგნობრივია, რომელიც მიღწევად რეჟიმშია, უარი გვეთქვა მწვრთნელის მოდულური პროგრამის შექმნაზე.

ბაზრის კვლევიდან გამომდინარე, რომელიც ჩაატარა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტმა, აღმოჩნდა, რომ ზოგასაგანმანათლებლო სკოლებში სპორტის მასწავლებლის დიდი დეფიციტია. ჩემს მიერ აღნიშნული საკითხზე მომზადდა წერილი, რომელიც გადაგზავნილ იქნა პარლამენტის განათლებისა და სპორტის კომიტეტში განსახილველად, სადაც მითითებული იყო ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება (ფიზკულტურის ტექნიკუმიდან მოყოლებული) ფიზ.აღზრდისა მასწავლებელთა მომზადების შესახებ. ზემოაღნიშნულმა წერილმა გაიარა შესაბამისი ინსტანციები და მიიღო დადებითი შეფასება და გადაგზავნა განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის სამინისტროში. თებერვლის თვეში პარლამენტის კომიტეტში კვლავ მოხდა შეხვედრა, იმავე საკითხთან დაკავშირებით, რაც გადაწყდა დამაკმაყოფილებლად. ამჟამად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის სტანდარტის და კლასიფიკაციის სამმართველოსთან ერთად და ჩემი ჩართვით, მზადდება ზოგადი განათლების კანონში ცვლილებები, რათა პროფესიული განათლების ახალი კანონიდან (მუხლი 16) გამომდინარე, მოვამზადოთ სპორტის მასწავლებლები (არასრული კურსი, ასოცირებული ბაკალავრი).

გვაქვს კონტაქტები დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებთან სპორტის მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებაში მათი გამოცდილების მიღების მიზნით. კერძოდ, საქართველოს სპორტის, ფიტნესის და ფიზიკური განათლების ეროვნული ასოციაციასთან გვაქვს გაფორმებული ხელშეკრულება. საქართველოსთან ერთად ასოციაციაში გაწევრიანებულია შემდეგი ქვეყნები: საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია, უკრაინა, ბოსნია, დიდი ბრიტანეთი და მაკედონია. აპრილის თვეში საქართველოში ტარდება ფიტნესის საერთაშორისო დღეები. ველოდებით ორ წარმომადგენელს, რომლებიც ჩაატარებენ ტრენინგ-კურსებს ფიტნესში. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კოლეჯი შეძლებს მოამზადოს ფიტნეს-ინტრუქტორები. ასევე შევძლებთ გაწევრიანდეთ ფიტნესის ევროპულ ასოციაციაში.

მოხდა ახალი პრაქტიკის ობიექტების მოძიება და მათთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთადერთი სასპორტო მიმართულების პროფესიული დაწესებულების მისიაა, საეთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მასობრივი სპორტის დანერგვა/განვითარებას და შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტისა და მოთხოვნების უზრუნველყოფას. დასახული მისიის მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს:

1. თითოეული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარებისთვის აუცილებელ პირობებს.
2. სწავლებისა და სპორტული პროცესების ურთიერთშერწყმასა და სპორტული და მასთან დაკავშირებული დარგების საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას.

3. შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, რაც პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით ხორციელდება;

4. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამშრომლობას პარტნიორ ორგანიზაციებთან, სპორტულ ფედერაციებთან და კლუბებთან.

5. პედაგოგებისა და პერსონალის მუდმივ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

6. სპორტის კოლეჯი, თავისი საქმიანობით, მიზანმიმართულად ახორციელებს მასობრივი სპორტისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდას და მეტი ადამიანის ჩართულობას ამ სფეროში.

**ხედვა** 2030 წლისთვის სპორტის სფეროში აღმოფხვრილია პროფესიონალი კადრების დეფიციტი. სპორტის კოლეჯი, როგორც სასპორტო მიმართულების პროფესიული სასწავლებელი არის ლიდერი დაწესებულება პროფესიულ განათლებაში კავკასიის რეგიონის მასშტაბით.

**კოლეჯის ღირებულებები:** სპორტის კოლეჯის მთავარ ღირებულებას პროფესიონალიზმი, გუნდური მუშაობა და ღიაობა წარმოადგენს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სამართლიანობა, თანასწორობა და ადამიანის უფლებების დაცვა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში, რასაც გუნდური მუშაობის პრინციპები და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობა ქვია.

ჩემი, როგორც კოლეჯის დირექტორის ხედვა, კოლეჯის სასურველი მომავლს წარმოადგენს დასავლეთ ევროპული გამოცდილების და სწავლების ტიპის დამკვიდრებას.

კოლეჯის ღირებულებებია გუნდური მუშაობა, პროფესიონალიზმი, ინოვაცია, ღიაობა, სამართლიანობის დაცვა, ადამიანის უფლებათა დაცვა, თანასწორობა და ა.შ.

კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

კოლეჯის მიზანია შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოზიდვა და შენარჩუნება. ამავე დროს სტუდენტი სასწავლო პროცესის გარდა ჩართული იყოს კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში. კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტთა

თვითშემოქმედებას, ატარებს კონფერენციებს, კულტურულ ღონისძიებებს, სპორტულ შეჯიბრებებს.

ჩემი კურატორობითა და გუნდური მუშაობის პრინციპით, გათვალისწინებულ იქნა პირველი რეაგტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და სრულად იქნა აღმოფხვრილი აღნიშნული საკითხები. ჩვენ ამისათვის დიდი ძალისხმევა და დიდი პროფესინალიზმი დაგვჭირდა. რამაც მიაღწია თავის მიზანს და მეორედ შემოწმების შემდეგ დადებითი და სასიამოვნო შეფასებები მივიღეთ.

მოვახდინე კოლეჯის ახალი მაღალკვალიფიციური და შრომისმოყვარე კადრებით დაკომპლექტება. რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ კოლეჯის განვითარებასა და წინსვლის ხელშეწყობის საკითხში. მათი თავდაუზოგავი მუშაობით იგეგმება მრავალი აქტივობა, რაც დიდად გამოსადეგი და დამაინტერესებელი იქნება კოლეჯის სტუდენტებისათვის.

ჩემი დიდი ჩართულობით შემუშავდა ახალი მოკლევადიანი პროგრამები, რომელიც სულ მალე დამტკიცდება და შეუდგება პროფესიული სტუდენტების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ეს პროგრამებია: 1. სპორტის რამდენიმე სახეობა (სახეობების მითითებით); 2. სპორტული მასაჟის გადამზადების პროგრამა; 3. ფიტნესის მომზადება გადამზადების პროგრამა; 4. საფეხმავლო გამყოლი; 5. საწყალოსნო მაშველი; ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მოვახსენებთ, რომ აქტუალური სპეციალობაა ჩვენი ქვეყნისთვის. საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, რადგან ამ სპეციალისტებს ვამზადებდით 2000-2009 წ.წ.. ამასთან დაკავშირებით გვაქვს განხილვა შსს-თან და ველოდებით მათ მოსაზრებებს.

ამჟამად შენობის დაზიანების გამო ვერ შეგვაქვს მოკლევადიანი პროგრამები დასამტკიცებლად, რადგან ავტორიზაციის დროს ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა შენობის მდგრადობაა. მოგეხსენებათ ალბათ, რომ ჩვენ ვიმყოფებით საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში თხოვების ხელშეკრულებით. ვინაიდან უნივერსიტეტი შენობის არამდგრადობის გამო გადავიდა აღნიშნული შენობიდან, ჩვენც გვიწევს შენობის დატოვება.

უმორჩილესად გთხოვთ, გაგვიწიოთ შუამდგომლობა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტთან, რათა დაგვეხმაროს შენობის მოძებნაში, რომ არ ჩაგვივარდეს სასწავლო პროცესი და მომავალი ფუნქციონირება.

